



გენოვლი
პირველი
პრეზიდენტი
გენოვლი

გენოვლი
პრეზიდენტი

პირველი თბილისის პრეზიდენტი
სასახლეში შედგა ნ. გენოვლი
შვილი — ნ. გენოვლის მატჩის
პირველი პარტია. 33-ე სვლაზე
გამარჯვება გენოვლი.

ნ. გენოვლი
ნ. გენოვლი

პოლიტიკური დაცვა

- d4 f5 2. g3 f6 3. g2 g6
4. f3 g7 5. 0-0 0-0 6. d5
- d6 7. c4 c6 8. f4 d4 9. d3
- g5 10. de f6 11. f4 f5 12.
- g4b5 13. e7 14. e8
15. d6 cb 16. d5+ f6h8
17. lb5 lb5 17. cb d7 18.
19. e7 20. d6 21. ead1
22. e3 d4 23. d5 e8 24. d7 e8
25. f3 26. b3 d6 27. d1 c7 28.
29. f4 h5 30. d2 a5
31. a5 e8 32. d3 c3 33.
- d3. შავები დაიბრუნა.

პოლიტიკური დაცვის ღონისძიების სისტემა, რომელიც გენოვლი აირჩია, წარმოადგენს ორი (პოლიტიკური და ძველი-ღონისძიების) ურთულესი დებულების ნაერთს. ურთულესი პოლიტიკის მოქმედებაზე გენოვლი ათეული წლის წინათ მოუძებნეს „აქტიურობის ქუსლი“ და ეს სისტემა თითქმის გაქრა ოსტატა პრაქტიკიდან. ზოგჯერ მოქმედებები მაინც უბრუნდებოდა მას, როცა მწვავე ბრძოლა სწყურიათ და რაიმე სიახლე აქვთ მოზადებული. ალბათ გენოვლისავე ჰქონდა სიახლე ჩაფიქრებული, მით უმეტეს ცნობილია, რომ იგი მწვავე ტაქტიკური თამაშის მოყვარულია.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ გენოვლი რაღაც შეეშალა, თორემ პაიკის დროებითი შეწირვის შემდეგ არ დაუშვებდა მსოფლიოს-ექს-ჩემპიონის კომბინაციას მე-

პროლეტარიატო ყველა კვირის, ზეიმით

ლელო № 44 (6605) 4

საპარტველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1984 წლის 18 აპრილიდან

საპარტველო ორგანიზაციის საბჭოს ორგანო

საპარტველო ორგანიზაციის საბჭოს ორგანო

საპარტველო ორგანიზაციის საბჭოს ორგანო

12 სვლაზე. მისი ჩანაფიქრი საიდუმლოდ დარჩა. ახალგაზრდა ოსტატს მე-11 სვლაზე პაიკი რომ დაეცვა მხედრით მე-8 პირიონტალიდან, წინ კიდევ რთული ბრძოლა იყო.

ვიღრე მხედრის თავდასხმის წინააღმდეგ რაიმეს მომლოქმელებდა, გურვილმა 44 წუთი იფიქრა. საფიქრელი ნამდვილად იყო. მართალია, მან მხედარი მყისვე არ აიყვანა, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. გენოვლი-შვილმა აიძულა იგი გაეცვალა ლხინიერები, რის შემდეგ გენოვლის ისევ მუქარის მოგერიებაზე უნდა ეზრუნა. პოზიცია უკვე (ყოლი იყო, თუმცა მხედარში ორი პაიკი ჰქონდა. მან მხედარი უკან დააბრუნა, მაგრამ პაიკების სანაცვლოდ აღარაფერი დარჩა.

შემდგომში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა თანდათან მოახდინა უპირატესობის რეალიზება.

თ. გენოვლი
გენოვლი

შედეგად მეორე პარტია, თერთობით გურვილი თამაშობდა. გაიმარჯვა გენოვლი-შვილმა. ანგარიში გახდა 2:0.

ორი კუს უპირატესობით

პოლიტიკური დაცვა

პოლიტიკური დაცვის ღონისძიების სისტემა, რომელიც გენოვლი აირჩია, წარმოადგენს ორი (პოლიტიკური და ძველი-ღონისძიების) ურთულესი დებულების ნაერთს. ურთულესი პოლიტიკის მოქმედებაზე გენოვლი ათეული წლის წინათ მოუძებნეს „აქტიურობის ქუსლი“ და ეს სისტემა თითქმის გაქრა ოსტატა პრაქტიკიდან. ზოგჯერ მოქმედებები მაინც უბრუნდებოდა მას, როცა მწვავე ბრძოლა სწყურიათ და რაიმე სიახლე აქვთ მოზადებული. ალბათ გენოვლისავე ჰქონდა სიახლე ჩაფიქრებული, მით უმეტეს ცნობილია, რომ იგი მწვავე ტაქტიკური თამაშის მოყვარულია.



საქართველოს სსრ დამხმარებელი მწვრთნელი, ოსტატი.

ნდრიამ გააცვლევინა იგი. სამაგიეროდ, კრასნოიარსკელმა მოქალაქემ დაასუსტა პაიკთა განლაგება თერთების მეფის ფრთაზე. შეიქმნა დაახლოებით თანაბარი მდგომარეობა. ორივე მეტოქეს თამაშის გარკვეული გეგმა ჰქონდა. ალექსანდრია ფიქრობდა ლხინიერის ფრთაზე ღია ხაზის გამოყენებას, ახმლოვსკი კი თერთ გვირგვინისაზე იერიშის შესაძლებლობის რეალიზებას.

ლიდოსტატები კარგად თამაშობდნენ, თუმცა ზოგჯერ უკეთესი გაგრძელების არჩევა შეეძლოთ. მოსწონია, მაგალითად, ალექსანდრიას 26-ე სვლა პაიკის დროებით შეწირვით. ზოგმა სპეციალისტმა დაიწუნა ახმლოვსკიას შეფუქრდოვანი კუს გადაკვანა ლხინიერის ფრთაზე. ამბობდნენ, რომ სჯობდა გ პაიკის ამოძრავება. ბოლოს კრასნოიარსკელმა ლიდოსტატმა განახორციელა ამ პაიკის წინსვლა, მაგრამ მას უკვე აღარ ჰქონდა დიდი ძალა.

ახმლოვსკიამ უგნებლყო მუქარა ლხინიერის ფრთაზე, ამიტომ ნანამ ეტლები დააწყვილა მეფის პოზიციის წინააღმდეგ. მაგრამ შეეგება ეს მუქარაც მოსპეს ოთხივე ეტლის გაცვლით. მეორე დაფიქრდა ლხინიერებიც გაქრნენ. ალექსანდრიამ თამაში მსუბუქი ფიგურების ენდშილში გააგრძელა.

41-ე სვლაზე პარტია გადაიდო. ალექსანდრიას ორი კუს უპირატესობა და სახიფათო გამსვლელი პაიკი აქვს. ამ პარტიის თამაში 4 მარტს განახლდება. აი, პარტია:

- ნ. ალექსანდრია**
ნ. ალექსანდრია
- ესპანური პარტია**
- e4 e5 2. f3 d6 3. j5 a6
 4. j4 f6 5. 0-0 j7 6. e1
 - b5 7. j3 d6 8. c3 0-0 9. d4
 - g4 10. j3 ed 11. cd d5 12. e5
 - d4 13. dhd2 dhd2 14. ld2
 - ld7 15. a3 j: f3. 16. gf
 - ld8 17. dhd1 f5 18. gac1
 - de6 19. f4 c6 20. jc2 gac8 21.
 - le2 jd8 22. lf3 j6 23. jd1
 - dh8 24. lh3 jc7 25. jcd2 g5
 26. f3 gf 27. j: f2 jcc8 28. jc2
 - lf7 29. jg1 jd8 30. jg2 jf7 31.
 - gd1 d5 32. lh6 jg8 33. jdg1
 - de6 34. j: g8 + j: g8 35. j: g8 +
 - dh8 36. lh3 d5 37. lf: f5
 - lf: f5 38. j: f5 d: f3 39. jd7 c5 40.
 - dc d: e5 41. c6. პარტია გადაიდო.

დ. ჯანაშია
საქართველოს სსრ დამხმარებელი მწვრთნელი, ოსტატი.

ს უ რ ა თ ე ე : მიმდინარეობს გენოვლი-შვილი-გურვილის პარტია.

დასაპარტველოს ტურიზმის მხარე

დასაპარტველოს ტურიზმის მხარე

დასაპარტველოს ტურიზმის მხარე

მ მ მ მ მ მ ს მ
ს ი მ ა ღ ლ ე

საპარტველო ტურიზმის მხარე

დასაპარტველოს ტურიზმის მხარე

დასაპარტველოს ტურიზმის მხარე

ჩაკლებული იღვწის საქართველოში ტურიზმის განვითარება-პოპულარიზაციისთვის, არიან: სპორტის დამსახურებული ოსტატი კობა წაქაძე, სპორტის ოსტატი გივი ყალბაგვიანი, გიორგი თომაძე, გივი წერეთლიანი, მურად ჭიჭინაძე, გიორგი მეყანე-წიშვილი, ნიკოლოზ ელბაძეანი, სოზარ ბერიშვილი; სამამულო ომის ვეტერანები, საბჭოთა კავშირის გამირი რაქდენ ბარციცი, ვადამდგარი პოლპოლიკოვნიკები — პავლე კუპატაძე და გიორგი ჩახნაშვილი; საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ფეხბურთში ანატოლი მილჩენკო...

ბოლო წლებში რესპუბლიკის ცხოვრებაში მომხდარი სასიკეთო ძვრები ტურისტულ-საექსკურსიო საქმიანობასაც დაეყრდნობა. შეიძლება ითქვას, რომ იგი სახალხო მეურნეობის სოლიდურ დარგად გადაიქცა. უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენი მიერ გაწეული მომსახურების მოცულობა ერთი სამად და მეტად გაიზარდა. აშენდა და საექსკურსიო-საეკოლოგიური ტურიზმის, ფასანაურის, ყაზბეგის, სიღნაღის კომფორტული ტურისტული სასტუმროები; ვარძის, ცხინვალის, ლაგოდეხის კეთილმოწყობილი ტურისტული სასტუმროები; ვარძის, ქუთაისისა და გარის ავტოკემპინგები; ჯავისა და ლენტეხის სეზონური ტურისტული სასტუმროები; ახალი ათონის უნიკალური მღვიმეები და ყაზბეგი-სამეხას საბაგრო გზა.

სულ უფრო იზრდება მასობრივი, თვითმოქმედი ტურიზმის პოპულარობა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა შორის. განმრთელობის გაკავებასთან ერთად საბჭოთა ხალხის რეგულაციური, საბრძოლო და შრომითი იდეების ატვირთვაში ლაშქრობა ახალგაზრდობისთვის უფრო ხელსაყრელია.

(დასასრული მე-2 გვ.)

მელიქონია
4 ოქროს მედალი

დასაპარტველოს ტურიზმის მხარე

დასაპარტველოს ტურიზმის მხარე

ციგურაბი
ოლიმპიური ჩემპიონის დაპარტველა

დასაპარტველოს ტურიზმის მხარე

დასაპარტველოს ტურიზმის მხარე

სროლა
უხვი მოსავალი

დასაპარტველოს ტურიზმის მხარე

დასაპარტველოს ტურიზმის მხარე

სამთო-სათხილავი სპორტი
მეორე აღმოსავლური


დასაპარტველოს ტურიზმის მხარე

დასაპარტველოს ტურიზმის მხარე

დასასრული

დასაპარტველოს ტურიზმის მხარე

დასაპარტველოს ტურიზმის მხარე



ექსპერსიამდლოლის სიტყვა

ახლა, როცა იდეოლოგიური მუშაობის წინაშე ახალი სერიოზული ამოცანები დგას, ჩვენ — თბილისის მოგზაურობათა ბიუროს ექსპერსიამდლოლები განვუცხვერ გავდგებით. ჩვენი ექსპერსიამდლო უნდა იყოს პარტიული პროპაგანდის, პოლიტიკური და ესთეტიკური აღზრდის საშუალება. ექსპერსიამდლო დიდი ადგილი უკავია ლენინურ თემატიკას. მაგალითად, ლიტერატურულ ექსპერსიამდლოში ვინაიდან რა მხატვრულ ლიტერატურას ვეთითებთ, თუ როგორ ასახვენ ქართული მწერლები დიდი ბელოდის სახეს. როგორ ასახვენ ცხოვრებას ლენინის დიდი ანდერძის შემდეგ.

საქვ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში — „იდეოლოგიური და პოლიტიკური-აღმზრდელი მიზნების შემადგომი გაუმჯობესებისათვის“ ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ პროპაგანდა უნდა შეინარჩუნოს აქტიური, შემტევი ხასიათი, რომ უფრო ნათლად აისახოს თანამედროვე ცხოვრება. ეს უდავოდ, ექსპერსიამდლოც უნდა იყოს. ექსპერსიამდლო მასალები აძლევს ექსპერსიამდლოს ქველდით ხასიათს. ქალაქის წარსულზე საუბარისასაც შეიძლება თანამედროვეობის პროპაგანდა. მაგალითად, ექსპერსიამდლო — „ძველი ქალაქის ქუჩებზე“ მთლიანად ეძღვნება თბილისის რესტავრირებული ადგილების ჩვენებას (კოლმეურნეობის მოვლანი, ბარათაშვილის ქუჩა) და შესაძლებლობას გვაძლევს წარსულზე საუბარს ჩვეურობით დღევანდელი დღის მასალები. ესაუბრობთ ისტორიას და კულტურის ძეგლებს და ცვალებ; თანამედროვე ადამიანებზე (არქიტექტურა-

თბილისის მოგზაურობათა ბიუროს ექსპერსიამდლოებს, რომაა ჩვენი საუბარი თუთი მიზნის დღევანდელი და მესხიერებაში ჩარჩეთ მსმენელებს. ფაქტობრივად, მალა იდეოლოგია, პროპაგანდისტიკის დამაჯერებლობა, პროფესიული ტრადიცია, საუბრის კულტურა — აი, წამდელი ექსპერსიამდლო მხოლოდ თვისებები. ყველაფერი ეს შესაძლებელია მაშინ, როცა ექსპერსიამდლოს უყვარს თავისი საქმე, თავისი ქალაქი. მხოლოდ მაშინ ათბობს მსმენელთა გულს მისი რიტყვები.

ექსპერსიამდლოლოც ცოცხალი სიტყვა... რა ბევრი ნიშნავს იგი მათთვის, ვინც მიჩვეულად ჩამოვიდა ჩვენს ქალაქში და ჩვენი ექსპერსიამდლო დღეგნარის ტურისტებს უფრო ღრმად ჩასწვდენს ქართული ხალხის ისტორიას და კულტურას, შეგორძინონ თბილისის განუყოფელი იერ-სახე, მისი სილამაზე და ძლიერება.

ბ. ლუნაძე,
თბილისის მოგზაურობათა ბიუროს ექსპერსიამდლო.

მეექვსე სიმაღლე

დასახსრული რღობას უნერგავს სამშობლოსადმი დიდ სიყვარულს, მისი გმირული წარსულისადმი, შრომითი პერიოკით აღსაყვ დღევანდელ მზისადმი დიდ მოწინებებს. ყურადღასადმი ამ მხრივ ტურისტების რესპუბლიკური ფედერაციის, თბილისის, ქუთაისისა და ლაგოდეხის ტურისტული კლუბების მუშაობა.

ჩვენი ხალხის მატერიალურ-კულტურული ღონის განუხრელ ზრდასთან ერთად იზრდება მათი მოთხოვნილებაც. სწორედ ამიტომ, როცა ელაპარაკობთ მიღწევებზე, ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ სადღესოდ ვერ კიდევ ვვაქვს ბევრი გადასატრელი პრობლემა. მომსახურების ხარისხი ვერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს

საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებს, მაგრამ ამ მხრივაც საგრძობი ნაბიჯებია გადადგმული.

ასრულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს ჩვენი რესპუბლიკის მთიან და შვიტუნისპირა რაიონებში ტურისტული ობიექტების მშენებლობის შესახებ, შენდება ბათუმის, ოპაჩხორისა და გუდაუთის ტურისტული სასტუმროები. მთავრდება ბაკურიალის ტურბაზის რეკონსტრუქცია, პერსპექტივაშია ტურისტული სასტუმროების მშენებლობა თბილისისა და სოხუმში, ტურისტული კომპლექსების აგება ბობოყვასა და გაგრაში.

საკავშირო სოციალისტურ შენობებში გამარჯვება და გარდამავალი დროშის მოპოვება რესპუბლიკის ტურისტულ-საექსპერ-

რით დაწესებულებების მუშაობა კარგ ტრადიციად დამკვიდრდა. ჩვენი მიზანია მიველწითთ მომსახურების ხარისხის რაოდენობრივ მიჩვენებლთან სრულ შესაბამისობას, რათა ჩვენი რესპუბლიკის ყოველმა სტუმარმა თან გაიყოლოს არა მარტო ჩვენი ბუნებითა და ისტორიულ-რეველუციური ძეგლებით მღერებელი მდიდარი შთაბეჭდილებები, არამედ რესპუბლიკის დღევანდელი შრომითი პათოსი, განთქმული ქართული სტუმართმყოფარეობის მაღლი. ამ მხრივ მიმდინარე წელი ფრად განსაკუთრებულია — წელს ხომ მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე ჩამოსულ უცხოელ სტუმრებსაც უნდა ვუმასპინდლოთ.

გ. აჯოხიაბერიძე,
ტურისტთა და ექსპერსიამდლოლის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

მიწისქვე რამარხული სამკაული-ხალხს!

მღვიმური ტურიზმი მშრომელთა აქტიური დასვენების მიმნიღველი სახეობაა. ამჟამად მსოფლიოში 800-მდე კეთილმოწყობილი მღვიმეა, რომლებსაც ყოველწლიურად 20 მილიონზე მეტი ადამიანი ათვლიერებს.

საქართველოს სამართლიანად უწოდებენ მღვიმეების ქვეყანას. დღესთვის რესპუბლიკაში 500-ზე მეტი მღვიმე, შახტი თუ უფსკრულია აღრიცხული და ნაწილობრივ შესწავლილი. უდიდესი პოპულარობით სარგებლობს ახალი ათონის მღვიმე, რომელიც ექსპურსანტთა რაოდენობით I ადგილზეა მსოფლიოში. მას ყოველწლიურად 800 ათასამდე ადამიანი ათვლიერებს.

ზვიფის ქედზე მდებარეობს უფსკრული „სნეჟანია“, რომელშიც მოსაკოვლო სპელეოლოგებში სარგებლო სიღრმეა — 1190 მეტრზე ჩაუვარდა აქამად „სნეჟანია“ მსოფლიო რეკორდს „სულ რაღაც“ 142 მეტრით ჩამორჩება. ვინ იცის, იქნებ სწორედ ზვიფის ქედზე დაიბადოს ახალი მსოფლიო რეკორდი!

კარსტული მღვიმეები ჩვენი ბუნების უნიკალური სამკაულია. უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე საქართველოში კარსტული მღვიმეების კვლევას მტკიცე ორგანიზაციული საფუძველი შეექმნა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სპელეოლოგიური საბჭო კოორდინაციას უწევს სპელეოლოგიურ სამუშაოებს რესპუბლიკაში. ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარსტულ-სპელეოლოგიური ლაბორატორია გეგმავს მოძიერად იკვლევს საქართველოს კარსტულ ზოლს. შეგროვდა და განზოგადდა უზარმაზარი მასალა. გაკეთდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი მეცნიერული დასკვნები.

ტურიზმისა და ექსპურსიამდლოლის საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოსთან არსებული სპელეოლოგიური კომისია გარკვეულ მუშაობას ეწევა რესპუბლიკის კარსტული რაიონების შესწავლის მიზნით. ეწყობა ექსპედიციები საინტერესო კარსტული რაიონებში; გროვდება ძვირფასი ცნობები მღვიმეების მო-

ფოლოგია-მორფომეტრიასზე. პირობათვლიერ რეკონსტრუქციასა და გეოლოგიურ რეკონსტრუქციას. უმრავლეს შემთხვევაში სამყაროს უნიკალური ფოტოთეკა; დამუშავდა სპელეოლოგიური ტურიზმის მარშრუტების სქემა, რომლის განხორციელება ყველა სპელეოლოგის ოცნებაა.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით მთელ საბჭოთა კავშირში პირველად საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან შეიქმნა ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო. მას კეთილშობილური მისია აქვს — საქართველოს კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვა-პატრონობა, კეთილმოწყობა და რაციონალური ექსპლუატაცია. ასე რომ, ჩვენი მღვიმეების კეთილმოწყობის პერსპექტივა უფრო რეალური გახდა.

ალბათ, შორს აღარ არის ის დღე, როცა თანამედროვეობის მოთხოვნათა დონეზე კეთილმოწყობა აბრსკილისა და სთაფლიას, საწურბლიასა და სოლოკატას, ცხრაჯვარისა და ცუცხვათის, შარაულასა და ცახის მღვიმეები, განსაკუთრებით კიტობას უნიკალური მღვიმეოვანი...

წ. ჯიშარიანი,
რესპუბლიკური სპელეოლოგიური კომისიის თავმჯდომარე.

ს ლ რ ა თ ე ე : ა. ოქროჯანაშვილის სახელობის მღვიმეში შესასვლელი მდინარე ტობას აუზში.
გ. ჯიშარიანისა და ს. ბარანოვის ფოტო.

გვიხმობს მკვლევარი შთაბარი



სტუდენტის ვერტი № 1 (33)

საპარტიველოში ტურიზმის ენთუზიასტები არც თუ ისე ცოტანი არიან, მაგრამ ამ საქმისთვის იმგვარად თავგანდავებულნი ვარ, როგორც გვიც ყალბავიშვილია, მეორე ძნელად თუ მოიძებნება.

გვიც ყალბავიშვილი შვილიდელი წლის წინათ გავიციანი, როცა 57-ისა იყო — მაღალი, ხმელ-ბეღლი და თმაშვერიცხილი. იმ დროს ქუთაისელ მთამსვლელთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა, რომელსაც სეგნეთში ერთი უახებლო მწვერვალი უნდა დაეპყრო და მისთვის დიდი გალაკტიონის სახელი ეწოდებინა. მაშინ, პირველი შთაბეჭდილებით, გვიც ყალბავიშვილი შევიციანი როგორც ახალგაზრდული ენერჯით აღსავსე ადამიანი, რომელსაც უნდა სწავლობოდა უყვარს საქართველოს მთა-ბარი, მისი ჭეშმარიტი მამულიშვილები და... სიძულეები.

უყვარს არა სიტყვით, არამედ საქმით. მას შემდეგ ბეგრჯერ შეგვედროვარ ყალბავიშვილს და პირველი შთაბეჭდილება არ გამნელებია. პირიქით!

ზემოთქმულში უთუოდ დარწმუნდებით, თუ ქუთაისის ტურისტთა სასახლეს — „ოქროს ჩარდახს“ მოინახულებთ, რომლის გამგეობის თავმჯდომარეც გვიც ყალბავიშვილი გახლავთ. ან ქუთაისის ავტოკემპინგში თუ მოხვდებით, რომლის დირექტორიც ისევე გვიც ყალბავიშვილია.

„ოქროს ჩარდახშიც“ და კემპინგშიც საოცარი წესრიგია.

.....ორი ოჯახი ერთად ემოგზაურობდით მარშრუტით: ბაქო-სოკი. ქუთაისის ავტოკემპინგში გულთბილად შეგვხვდნენ. გაოცებულნი და ვარჩით კულტმასობრივი მუშაობის მაღალი დონის. სისუფთავე და წესრიგი იკრძნობოდა ყველგან და ყველადღეს, განსაკუთრებით — რესტორანში. აქ დამზადებული ეროვნული კერძები განუუმორებელია. მთლიანად ქუთაისის ავტოკემპინგს კი შეიძლება საქართველოს ხელოვნების მუზეუმი ეწოდოს.“


ეს სიტყვები, რომლებიც ავტოკემპინგის წინადადებათა წიგნში ჩაუწერიათ, ეკუთვნის ბაქოელი პროფესორის აიდაშროვისა და დოცენტ რევანოვის ოჯახებს.

აღსანიშნავია, რომ ამ წიგნში დამწვენებელთა ვერც ერთ შეთავაზებულ წინადადებას ან სარწივარს ვერ ნახავთ. თბრალოდ, მომსახურების სფეროში თუ კემპინგის მოწყობაში მისი დირექ-

ტორის ფანტაზია ყველას აღფრთოვანებს იწყევა. გვიც დიდი გატაცებით საუბრობს კემპინგის წარსულზე, აწყვოვ თუ მომავალზე. დიდი გეგმები აქვს, ტურიზმისა და მთამსვლელის განვითარებაზე ფიქრითა და საქმით ცხოვრობს.

— ყველაფერი 1938 წელს დაიწყო, როცა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტში ვსწავლობდი, — ისენებს ყალბავიშვილი. — ერთ მშენიერ დღეს ინსტიტუტში ხმა დაიარხა, ჩვენს ლექტორებს მელენტი სანგილიძისა და


ნ ი ა ლ ა ბ
ზ რ უ ნ ვ ა უ შ ი



ალექსი მიქელაძეს ონიდან ყაზბეგამდე ქვეითი ტურისტული ლაშქრობის მოწყობა განუზრახავთ და ამისთვის სტუდენტებს აბრაოვებენო. იმ ბედნიერ 25 სტუდენტს შორის, რომლებიც ვხვს უნდა გავლემოდნენ, მეც მოგხვდი. მეც, როცა ყაზბეგში ჩავალწით, ჩვენი ჯგუფის ყურამდელ ახლა სხვა ამბავაქც მოალწია — ლევენდარული ალიოშა ჯაფარიძე იქ პირველ ალბინიდას ატარებს მწვერვალ ჯინარაზე. მეც ავედი ჯინარაზე. აი, ასეთი იყო ჩემი პირველი ნაბიჯები ტურიზმსა და ალბინიზმში.

მას შემდეგ გვიც ყალბავიშვილმა უამრავი ტურისტული ბილიცი გავკვალა საქართველოს მთა-ბარში, მრავალი მწვერვალი დაიპყრო კავკასიონზე, პამირზე თუ ტიან-შანზე. ყველაზე მეტად მის მესხიერებაში 1954 წელს პამირში მ. გვარდიანთან და გ. გულბანთან ერთად ქედმონჩილი უსახებლო მწვერვალი აღიბეჭდა, რომელსაც პირველდამპყრობთა უფლებით „თეთნულდის მსხვერპლი“ შეარქვეს.

მერე სპელეოლოგიამაც გაიტაცა. ხშირად მონაწილეობდა სპელეოლოგიურ ექსპედიციებში თუ ჯგუფურად ჩაუბრუნებდა და ხელბით პირვანდელი სახე უბრუნდებდა უბეველს ძეგლებს. სწორედ ეს არის ძველთა და ახლის ცოცხალი კავშირი.



ლოლოგიურ ექსპედიციებში როგორც რეგიონი წყვირი თუ ჯგუფის ხელმძღვანელი. მას ნახავთ ქუთაისის, სთაფლიის, ასახის, ხვამლიასა და სხვა კარსტულ მღვიმეებში. მღვიმეთა ყოველი აუზი-ქუჩიქული მოვლო და შეისწავლა. თავის თანამემამულე სპელეოლოგებთან ერთად მონაწილეობდა პოლონეთის მღვიმეების შესწავლაშიც.

1960 წელს ქართველმა მთამსვლელებმა პამირში, ალაის ქედის ტრავერსი განახორციელეს და საქავშირო ჩემპიონატში ყველა აჯობეს. შინ 12 ოქროს მედალი ჩამოიტანეს. მაშინ გვიც ყალბავიშვილი ექსპედიციის ხელმძღვანელის მთადგილე იყო და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით დააჯილდოვეს.

1978 წელს არმიელ მთამსვლელოთა ჯგუფმა, რომელთა ექსპედიციისაც გვიც ყალბავიშვილი მეთაურობდა, პამირში მწვერვალ „კომუნისტური“ აკადემიიდან“ ღრმის პიკამდე განახორციელა ტრავერსი. ჯგუფმა სსრ კავშირის ჩემპიონატის ოქროს მედალები მოიპოვა. ამ წარმატებისთვის ყალბავიშვილი საქავშირო სპორტიკომიტეტის სიგელით დააჯილდოვეს.

ამ პატარა წერილში შეუძლებელია გვიც ყალბავიშვილის სპორტული ბიოგრაფიის ყველა ეპიზოდის მოგონება. მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ მისი საოცარი ორგანიზატორული ნიჭი, დამსვენებელთა მიმართ მოხუცევილი დამოკიდებულება.


აი, რას ამბობენ პედაგოგები. ტაბატაძე და წ. მაჭარაშვილი, რომლებიც ქუთაისის ავტოკემპინგის სტუმრები იყენენ:

„აქ ყველგან და ყველაფერს მზრუნველი ხელი იტყობა. იკრძნობა, რომ ყოველ საქმეს ნიჭიერი ორგანიზატორი ხელმძღვანელებს. შესაშური კემპინგის დირექტორის გვიც ყალბავიშვილის ავტორიტეტი, მისი პატივისცემა სტუმართა მიმართ, გვიან ღამით ფეხაკრებთ რომ დფუსხვდებოდა კემპინგის ტერიტორიაზე, მზრუნველი თვალთ ამოწმებს ყველაფერს.“

იმედია, ასეთივე შთაბეჭდილება დარჩება იმ უცხოელ ტურისტებსაც, რომლებიც მოსკოვის ოლიმპიური თამაშების დღეებში ქუთაისისაქ ეწვევიან.

ლიანა გუნიანა.
ს ლ რ ა თ ე ე : გ. ყალბავიშვილი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი



დამაჯერებელი გამარჯვება ლიდართან

„დინამო“ (თბილისი) — კწუ (ბაქო) 8:8. „დინამო“: მ. გიორგაძე, კურტანიძე, ზუმბულიძე, რურუა, ისელოძე, არუთიუნოვი, დლოძიძე. მათ გარდა თამაშობდნენ — ხეცურიანი, გვახარია, კოლუაშვილი და კუტივაძე.

ლოლით, რადგან სტუმრები, თუმცა მწვერთველს დაუჭერებთ, წლებულ IV-V ადგილს უმინებენ, მასპინძლები კი — „ბრინჯაოს“. ამჟამად დროს სამგარბო შეხვედრამდე ორივე გუნდს როლები ჰქონდა შეცვლილი — დღევანდელი ქულენი ბრინჯაოს შედეგზე პრეტენზიებს უფრო რეალურად სტუმრები აცხადებდნენ. მაგრამ, თუ მათი შეხვედრის შთაბეჭდილებით ვიმსჯელებთ, მასპინძლებისთვის გაცილებით უპროსიანა მაღალი ადგილი.

მსაჯები: ა. ბლიუმენტალი (მოსკოვი) და ვ. რუჟიცი (ოდესა). ჯამ კიდევ მაშინ, როცა კწუ-მ თბილისში პირველი მატჩი გამართა და დამაჯერებელად გაამარჯვა ვოლგოგრადის „სპარტაკთან“, ბაქოელთა უფროსი მწვერთველს, აზერბაიჯანი დამსახურებულ მწვერთველს ე. ხალციანს გავესაუბრეთ:

— ჩვენი მიზანია წლებედულ ჩემპიონატში IV-V ადგილი დაიკავოთ. თუმცა პროგნოზებზე საუბარი ნაადრევია, წინ კიდევ დიდი გამოცდები გველის, მაგრამ გუნდის ყველა წევრი თავს კარგად გრძობს და ყველაფერს ვიღონებთ მიზნის მისაღწევად — გვითხრა ხალციანმა...

დინამოელთა მეტოქე ამ შეხვედრამდე გამართულ ორთაბრძოლაში — როგორც თბილისში, ისე მოსკოვის ქვეყანაში — მშვენივრად იასპარეზა და სსფცკ-სთან ერთად 13 ქულით სპარტანო ცხრილის სათავეში მოექცა. ამიტომაც მეზღაურებმა შეხვედრას თბილისელებთან განსაკუთრებული ინტერესით ვე-

კურ. ხოლო კვიციანი დინამოელთა კარი სამჯერ აიღეს... განვიხილოთ მატჩებთან შედარებით მასპინძელთაგან გაცილებით უკეთ და შედეგიანად ითამაშეს რურუამ, არუთიუნოვმა და კურტანიძემ. პირველმა ორმა 2-2 ჯერ აიღო მეტოქის კარი, ხოლო კურტანიძემ — ერთხელ. ისელოძემ კვლავ გამოიჩინა თავი, როგორც პენალტების დიდოსტატმა — ორივე 4-მეტრიანი სპარტანო ტყორცა უნაკლოდ შესარულა. თბილისელებმა კიდევ ერთი ბურთის აკტიონი გახდა ზუმბულიძემ, რომელმაც წვრილი დაუსვა დინამოელთა დამაჯერებელ გამარჯვებას.

ამჟამად აღვნიშნოთ თბილისელთა მეკარი მ. გიორგაძის კარგი თამაშიც, რომელმაც ერთხელ სემიონოვის მიერ ნატყორცნი პენალტიც მოიგვრია. ერთი სიტყვით, მასპინძლებმა ფრიალ დამაჯერებელ და საკირო გამარჯვებას მიიღწიეს ლიდრთან. უნდა ვიფიქროთ, რომ დინამოელებმა ბოლოს და ბოლოს გამარჯვების ვასაღები მიიღვნენ და კვლავაც ასე გააგრძელებენ.

ა. გურასაშვილი

კვირას გამართული დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (ლუგოვი) 10:7, ფისკ — სსფცკ 6:7, „მეხნატი“ — „დინამო“ (ალმა-ათა) 6:8, „დინამო“ (მოსკოვი) — „უნივერსიტეტი“ 6:7, „სპარტაკი“ — „მოსკოვი“ 0:3.

გაუჩინ



გამართული შეხვედრები ასე დამთავრდა: კწუ — ფისკ 8:6, „დინამო“ (ლუგოვი) — „მეხნატი“ 4:4, „უნივერსიტეტი“ — „სპარტაკი“ 2:5, „მოსკოვი“ — „დინამო“ (კიევი) 5:7, სსფცკ — „დინამო“ (მოსკოვი) 3:2, „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (ალმა-ათა) 7:6.

დღეს, თბილისის ტურის დასკვნით პაექრობაში თბილისელები უმასპინძლებენ ლვოველ თანავლებლებს. მატჩის დასაწყისი 12 ს.

სურათები

თბილისის „დინამოს“ და ბაქოს კწუ-ს წყალბურთელთა შეხვედრის ამსახველი მომენტები. მეწვიედ აღვნიშნავთ მასპინძლებმა „სტუმართა კარი: ისელოძისა (თეთრი ქულით) და ვანიუნოვის ორთაბრძოლის მომენტი: ვოლგოგრადის „სპარტაკისა“ და „მოსკოვის“ წყალბურთელთა პაექრობის ერთ-ერთი მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები



სროლა
სახსლის საზღვი
ქალები არიან
მარტის დამლევს ერევაში
გამართება ლოსაფის და პროფკავშირების სპორტსაზოგადოებების ქალთა გუნდების პირველობა ტყვიის სროლაში.

პენოკამი
ბიატლონიისტი
ოლივიკალის
გამარჯვებით
გღრ-ის ბიატლონიისტი ჩემპიონატი ობერპოლში ჩატარდა. 10 კილომეტრზე პირველობა მოიგო კ. ზიბერტმა, რომელმაც ორივე საცეცხლე პოზიცია უშეცდომოდ გაითა. მისი შედეგია 38 წუთი და 43 წამი.

მხატვრული ტანვარჯიში

ნაკრებში-სამი სპორტსმენია

ბარბა ხანს გაგრძელდა სსრ კავშირის მხატვრულ ტანვარჯიშეთა ნაკრების წლებედული პირველი შეკრება, რომელსაც მასპინძლობდა მოსკოვი. იგი მიმდევარა გარკვეულ ახალი პროგრამის განხილვა-დახვეწას, აგრეთვე, ნაკრები გუნდების შემადგენლობათა გადასინჯვას და ზოგიერთ ორგანიზაციულ საკითხს. სპორტსმენთაგან შეკრებაში მონაწილეობდნენ: ე. ტომასი (ვოლგოგრადი), ვ. სერბი, ო. შნაგოლევა (ორივე — კიევი), ი. ლიბუსკია (მინსკი), ი. დევინა, ი. იაკუნიჩა (ორივე — შუკოვსკი, მოსკოვის ოლქი), ე. შილერი, ე. ბარინოვა (ორივე — ლუშანბე), ს. გუსევა (ვლადიმირი), დ. კუტიკაიტე (ვილნიუსი), დ. პოდშევა-

ლინა (სტავროპოლი), ვ. შატალინა (ტაშკენტი). შეკრებაზე ყველაზე მეტი, სამი სპორტსმენით იყო წარმოდგენილი თბილისი — მსოფლიო ჩემპიონები ი. გაბაშვილი, ლ. დლოძი და გოგონათა შორის საბჭოთა კავშირის 1979 წლის ჩემპიონატის ორჯის ოქროს ლაურეატი ი. ყემჩუკინა. შეკრების პერიოდში საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებთან პარალელურად წერტანს გადიოდა კიდევ სამი თბილისელი — მ. ხალილოვა, მ. ნადიბაიე და ქ. კუპევა. ჩვენი ჰეყენის წამყვან მხატვრულ ტანვარჯიშეთა წერტანს ხელმძღვანელობდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვ. ბატენი, ქორეოგრაფი-ვ. სერგეევი, მწვრთნელები ნ. ხალაძე (თბილისი) და ნ. ში-

ბაევა (უკრაინა, მოსკოვის ოლქი). ქართული მხატვრული ტანვარჯიშის აღიარების კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ამიერიდან საბჭოთა კავშირის ნაკრები ნებისმიერ შეჯიბრებაზე წარმოდგენილი იქნება არა ორი, არამედ სამი სპორტსმენით ჩვენი რესპუბლიკიდან. ესენი არიან — ი. გაბაშვილი, ლ. დლოძი და ი. ყემჩუკინა. * * * ამ დღეაში ესპანეთში გაიმგზავრებთან და საჩვენებელ გამოცდებში მონაწილეობის შესახებ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები — ლალი დლოძი (მხატვრული ტანვარჯიში) და პატრია მაშუგია (სპორტული ტანვარჯიში).

რეპლიკა

16 წლის... პეტირანები

შეჯიბრება დამთავრდა. ყველაფერი საუკეთესოდ იყო ორგანიზებული: მსაჯობაც, დაჯილდოების ცერემონია, ერთი სიტყვით, კვირისა კვირას ერგო. ყოველივე ამის მიუხედავად, მხოლოდ ერთი შეხვედრით „სამომო იყო საცქერად“. საქმეში ჩახედულთა კაცი ამ გარეგნულ ეფექტის მიღმა კანთიულად ხედავდა იმას, რამაც ამ წერტილის დაწერა გადაგვაწყვეტინა. ...ამა წინათ უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში გაიმართა ფრენბურთელთა შეჯიბრება თბილისის პირველობაზე იუნიორებს შორის, რომელშიც 168 სპორტსმენი გამოდიოდა: პირველობაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ დედაქალაქის ყველა რაიონის. შეჯიბრებაზე არ გამოცხადდა ლენინის, კიროვის, გლდანის, ოქტომბრის და I მაისის რაიონების გუნდები. მიზეზი? თურმე არაფიციალურად ყოფილა „ზეპირი მითითება“, რომ 1963-1964 წლებში დაბადებული სპორტსმენები, რომელთაც სკოლა ჯერ არ დაუშთავრებიათ ან ახლახან დაამთავრეს, „ვეტერანებად“ უნდა ჩაითვალოს. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, გამოდის, რომ მოსწავლე, რომელიც მეთავე კლასამდე ვერ მოხვდება ქალაქის ან რესპუბლიკის ნაკრებში, ნებისთ თუ უნებლიედ, ფრენბურთს უნდა ჩამოშორდეს. არადა, ამ ასაკის მოზარდები არამც და არამც არ შეიძლება „განწირულებად“ ჩაითვალოს. პრაქტიკულად არაერთი მაგალითის მოტანა შეიძლება, როცა სწორედ ამ ასაკში აღწევენ ხოლმე საუკეთესო სპორტულ შედეგებს. ბევრი მწვრთნელი ზემოთ აღნიშნულ „მითითებას“ ჩააფრინდა: თუ პასუხს არ მოგვთხოვენ გუნდის გამოყვანაზე, რატომ შეიწუხნით თავი და „დაიბანეს ხელები“. შეიძლება თქვან: თუ საერთო კლიმატი ასეთია, საქარხნო, კალინინის, 26 კომისრის და ორჯიონიკის რაიონებმა როგორღა

მოახერხეს გუნდების გამოყვანა. პირველ ყოვლისა — ენთუზიასტი, საქმეზე შეყვარებული მწვრთნელების ხარჯზე, რომლებმაც „მითითების“ მიუხედავად, მაინც მოაზარდეს „ვეტერანთა“ გუნდები. რაც შეეხება მონაწილე გუნდების საკმაო რაოდენობას, ამასში გასაკვირი არაფერია. საქმე ისაა, რომ თბილისის ფრენბურთის სპეციალიზებულმა სკოლამ გოგონათა 3 და ვაჟთა 4 გუნდი გამოიყვანა სასაპარეზოდ. სწორედ ამის ხარჯზე ჩატარდა შეჯიბრება „საუცხოლოდ“. გოგონებში ყველა საპრიზო ადგილი ფრენბურთის სპეციალიზებული სკოლის წარმომადგენლებმა დაიკავეს, ხოლო ვაჟებში საპრიზო ადგილების „ვეტერანთა“ მათ ორჯონიკის რაიონის ფრენბურთელები შეეცილნენ (მეთრე ადგილი). სიტყვამ მოიტანა და უნდა აღვნიშნოთ ორჯონიკის გუნდის უფროსი მწვრთნელის თ. ყანაიკელის ენთუზიაზმი. ვერავინ გაიხსენა ისეთი შემთხვევა, რომ მის აღსაზრდლებს რომელიმე შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიეღოთ. ამადარ მწვრთნელზე იმიტომაც ვაგვაზივით ყურადღება, რომ ასეთები თითზე ჩამოსათვლილი გვყავს. სამწუხაროდ, უმარადესობას თავისი პროფესიის სიყვარული აკლია. სხვა რას უნდა დავაბრალოთ, რომ თბილისის ყველა რაიონის სპორტსკოლაში რამდენიმე დიპლომან მწვრთნელი მუშაობს და, მიუხედავად ამისა, შეჯიბრებაზე გუნდების გამოყვანა უჭირთ. ბოლოს ისევ ზემოთქმულს გვიხდა დავეზურუნდეთ: გაკონტრესებს, თუ მართლაც არც ბოხს ასეთი „მითითება“, რატომ ტარდება ამ ასაკის ფრენბურთელთა შეჯიბრება, თუ არა და, რატომ უნდა იყვნენ კმაყოფილი „ნახევრადფაბრიკატული“ დონისძიებთ. ეფიქრობთ, ამ საკიბოროტო საკითხს დროულად მიხედდავენ შესაბამის ორგანიზაციები. ჯ. კასრაძე.

